ინფორმირებულობა

მონაწილეობა მნიშვნელოვანია!

მზადება

მონაწილეობა ჩემს სკოლაში

მოქმედება

მონაწილეობა: დაიწყეთ ახლავე!

მონაწილეობა

LIVING DEMOCRACY
www.living-democracy.com
PH ZH IPE – INTERNATIONAL PROJECTS IN EDUCATION
ZURICH UNIVERSITY OF TEACHER EDUCATION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მონაწილეობა

სკოლის დირექტორებისა და სკოლის პერსონალისთვის ცნობილია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები და დემოკრატიის პრინციპები ეროვნული კონსტიტუციით არის გამყარებული და ჩართულია სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაბამისად, დემოკრატიული პრინციპები მოლაპარაკების საგანს არ წარმოადგენს. ბავშვები და მოზარდები უნდა სარგებლობდნენ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის უფლებით, რომლებიც მათ ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და განვითარებას ეხება. ბავშვებისა და მოზარდების აღნიშნული უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც, ბავშვს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები „ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე“.

დემოკრატიის ძირითადი პრინციპები მოიცავს ადამიანის უფლებებსა და ბავშვთა უფლებებს. უმცირესობებისა და სუსტი და მოწყვლადი ადამიანების ჯგუფების დასაცავად, მაგალითად, როგორიცაა ბავშვები და ახალგაზრდები, უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებზე გარკვეული ზღვრებია დაწესებული. დემოკრატიულ სისტემაში ნებისმიერი და ყველა კანონი და გადაწყვეტილება უნდა ესადაგებოდეს ადამიანისა და ბავშვის უფლებებს. ეს ერთ-ერთია იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპებიდან, რომლებიც ბავშვებმა და ახალგაზრდებმა სკოლაში უნდა ისწავლონ, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ სასკოლო განათლებაში ჩართული უნდა იყოს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ, სკოლამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს გარემო, რომელიც სკოლის საზოგადოების ფარგლებში, ამ მიმართულებით პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას სთავაზობს მოსწავლეებს.

როგორ უნდა გავახორციელოთ ეს პრაქტიკაში?

სკოლის ხელმძღვანელებისათვის განკუთვნილი წინამდებარე რესურსის - „დემოკრატია და მონაწილეობა სკოლაში“ - მიზანს წარმოადგენს რჩევებისა და რეკომენდაციების მიწოდება სკოლის ხელმძღვანელებისათვის, მათ სკოლაში მიმდინარე დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლებისა და საზოგადოების წევრების ჩართვასთან დაკავშირებით; რჩევების გარდა, რესურსი მოიცავს პრაქტიკულ ნაბიჯებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებსა და დემოკრატიული ხელმძღვანელობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.

მონაწილეობა

რატომ უნდა ვისწრაფოდეთ დემოკრატიისაკენ?

დემოკრატია

დემოკრატია არის ხალხის მიერ ან ხალხის სახელით სახელმწიფოს მართვის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება ხალხის ხელშია და სახელმწიფო იმართება უშუალოდ ხალხის მიერ (პირდაპირი დემოკრატია), ან თავისუფალი საარჩევნო სისტემით, ხალხის მიერ არჩეული პირების მიერ (წარმომადგენლობითი დემოკრატია).

დემოკრატიის საფუძვლებია:

- სახალხო სუვერენიტეტი;
- მმართველობა მართულთა თანხმობის საფუძველზე;
- უმრავლესობის მმართველობა;
- უმცირესობათა უფლებები;
- ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები;
- სათანადო სამართალწარმოება;
- მთავრობის ქმედებების კონტროლი კონსტიტუციის მეშვეობით;
- სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პლურალიზმი, მათ შორის, დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აღიარება;
- ღირებულებები, როგორიცაა თანამშრომლობა, სამართლიანი კონკურენცია და კომპრომისი.”

წყარო: ევროპის საბჭო (2016 წ.) დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, ძირითად ტერმინთა განმარტება.

მონაწილეობა

„დემოკრატიის დღესდღეისობით არსებული სტანდარტები სცდება კლასიკური წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფარგლებს, რომლის დროსაც ხალხის უმთავრეს ფუნქციას წარმადგენს, ხმის მიცემის საშუალებით, საკუთარი წარმომადგენლებისათვის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა, რათა ამ უკანასკნელებმა შეიმუშაონ და გაახორციელონ საჯარო პოლიტიკა. დღესდღეისობით არსებული სტანდარტებით, დემოკრატია იღებს მონაწილეობითი დემოკრატიის ფორმას, რომლის დროსაც საჯარო დაწესებულებები ესადაგება კარგი მმართველობის პრინციპებს და მოქალაქეებს აქვთ ლეგიტიმური უფლება, ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის ნებისმიერ ეტაპზე მიმდინარე პროცესებში.“

წყარო: იხ. ზემოთ.

ქვემოთ მოცემულია იდეალური მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მონაწილეობის ხარისხი მერყეობდეს 0-დან (არარსებული) მე-5 დონემდე (სრული ავტონომია).

1. ადამიანებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მათ ეხება. მათ ევალებათ დაექვემდებარონ წესებსა და კანონებს და შეასრულონ ბრძანებები და განკარგულებები.
2. ადამიანებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მათ ეხება, თუმცა მათ არ აქვთ ამ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა.
3. ადამიანებს ეკითხებიან აზრს, თუმცა მათი მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინება აუცილებლობას არ წარმოადგენს, როდესაც წარმოებს იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მათ ეხება.
4. ადამიანები სარგებლობენ საკუთარი მოსაზრებებისა და პოზიციების თავისუფლად გამოთქმის უფლებით და მათი მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინება სრულად წარმოებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას იმ საკითხზე, რომელიც მათ ეხება.
5. ადამიანები სარგებლობენ სრული ავტონომიით; ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება.

მონაწილეობის მოცემულ მოდელში, 1-ლ და მე-2 დონეებზე, მნიშვნელოვან ცვლადად მიიჩნევა ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მე-3-დან მე-5 დონის ჩათვლით - თავისუფლება და თანასწორობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორიტარული ხელმძღვანელობის პირობებში, სკოლაში მონაწილეობის მაჩვენებელი იქნება 1-ლ ან მე-2 დონეზე. დემოკრატიული სკოლის საზოგადოებაში, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მე-3, მე-4 და, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, მე-5 დონის შესაბამისად. თუმცა ის, რაც ამ მოდელში არ არის ნაჩვენები არის ის, რომ მონაწილეობა სწავლას საჭიროებს და მოსწავლეები უნდა ფლობდნენ სათანადო კომპეტენციებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს სრულყოფილად აღიქვან ინფორმაცია საკითხებზე და ამ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

სკოლაში, ისევე როგორც ზოგადად საზოგადოებაში, დემოკრატიას უწევს გამკლავება ინკლუზიასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან. მოქალაქეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, თუმცა არათანაბარია მათი კომპეტენციების დონე და უფლებამოსილებები. სკოლის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების ძალისხმევა საჭიროა უმცროსი ასაკის ან გაუბედავი მოსწავლეების წასახალისებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, და მათი ძალისხმევა ასევე საჭიროა იმისათვის, რომ უფროსი ასაკისა და აქტიურმა მოსსწავლეებმა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა.

თათბირი და განხილვა

საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენი სურვილია საკითხის განხილვა არამხოლოდ სამართლიანი და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული იყოს, არამედ იყოს საფუძვლიანი და ჯანსაღი. ამისთვის საჭიროა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირებს შორის თათბირის გამართვა. თათბირი გულისხმობს საფუძვლიან მსჯელობასა და განსხვავებული ან სადავო შეხედულებებისა და არგუმენტების ერთმანეთისთვის გაზიარებას. სკოლის ხელმძღვანელი კარგად უნდა იყოს ინფორმირებული და უნდა აკვირდებოდეს როგორ წარმოებს პროცედურული წესების დაცვა თათბირის დროს, რათა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ყველა მხარისთვის მისაღები თანხმობის საფუძველზე მოხდეს.

თათბირი გულისხმობს გასაგები და ლოგიკური არგუმენტების წამოყენებას, საკუთარი (პიროვნული) პრიორიტეტების გამჟღავნებასა და ანალიზს, ინდივიდუალური ინტერესების შეჯერებას სხვის ინტერესებთან დიალოგის გზით, საერთო კეთილდღეობაზე (სოლიდარობაზე) ორიენტაციას, ასევე გულახდილ და გულწრფელ დამოკიდებულებას.

ეს ის იდეალია, რისკენაც დემოკრატიული საზოგადოება უნდა ისწრაფოდეს, როგორც სკოლაში, ასევე ზოგადად, ფართო საზოგადოებაში. როგორც სკოლაში ასევე ფართო საზოგადოებაში, თათბირი პრაქტიკის საშუალებით უნდა ისწავლებოდეს, თუმცა პროცესში მონაწილეთა კომპეტენციები განსხვავებული იქნება. გარდა ამისა, ვინაიდან დრო ძალიან ძვირფასია, ყოველდღიურ რეალობაში საჭიროა გამოინახოს ერთგვარი ბალანსი თათბირსა (იქ სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს) და უფრო მკაცრად რეგულირებულ განხილვას (იქ სადაც ამის საჭიროება არსებობს) შორის.

რატომ უნდა ვისწრაფოდეთ დემოკრატიისაკენ?

რატომ უნდა ვისწრაფოდეთ დემოკრატიისაკენ სკოლაში და ფართო საზოგადოებაში? დემოკრატიულად მართული საზოგადოება უკეთეს პირობებშია, ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით; თუმცა, მას უწევს კონკრეტული სუსტი მხარეების დაძლევა, რაც დემოკრატიული სკოლის საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევებს წარმოადგენს.

ძლიერი მხარეები

- სამართლიანობა: ვინაიდან ყველა მოქალაქე სარგებლობს მონაწილეობის თანაბარი უფლებით, უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, მისაღები იქნება უმცირესობებისათვის (“დამარცხებულთა თანხმობა”).
- გადაწყვეტილების მიღების ხარისხი: საჯარო გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ყველა მოქალაქის მსგავსად, მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ექსპერტებმა და დაინტერესებლმა მხარეებმა; თავისუფალი მედია უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას, წარმოებს განსხვავებული მოსაზრებებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გათვალისწინება. უფრო მოსალოდნელია, რომ გადაწყვეტილებების შედეგად მივიღებთ პრობლემებისა და საკითხების უფრო ეფექტურად მოგვარებას, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.
- მშვიდობა შინ და გარეთ: დემოკრატიულად მართული საზოგადოება იშვიათად არის ომის ინიციატორი, რადგან მოქალაქეები ამგვარ პოლიტიკას მხარს არ უჭერენ. საზოგადოება უფრო მშვიდობიანია და ნაკლებად არის მიდრეკილი მიმართოს ძალადობას, პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.
- ვალდებულება და პასუხისმგებლობა: დემოკრატიული მთავრობა ხელს უწყობს იმას, რომ მოქალაქეებმა

თავი საზოგადოების წევრებად იგრძნონ და შეძლონ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

სუსტი მხარეები (გამოწვევები)

- **სირთულე: თანამედროვე საზოგადოებებში, მრავალი საკითხი იმდენად გართულდა, რომ მათი აღქმა-გაგება და მათ მოსაგვარებლად საჭირო ზომების განხილვა მოითხოვს მაღალი დონის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს. მონაწილეობა უფრო უკეთ ინფორმირებული მოქალაქეებისა და ექსპერტების საქმედ იქცა.**
- **არათანაბარი შესაძლებლობები: დემოკრატია გულისხმობს რომ მოქალაქეები მონაწილეობის თანაბარი უფლებით სარგებლობენ, თუმცა რეალურად, მონაწილეობის შესაძლებლობები არათანაბრად არის განაწილებული. ამ ხარვეზის აღმოფხვრის გარეშე, ამგვარმა ვითარებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ფრუსტრაცია და დემოკრატიისადმი იმედგაცრუება იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც გარიყულები აღმოჩნდებიან.**

ზემოთ მოცემული სუსტი მხარეები სკოლისა და განათლების წინაშე მდგარ გამოწვევებს წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ განათლებაში უნდა ვეძიოთ ამ პრობლემებთან გამკლავების გზები. ახალგაზრდების აღჭურვა უფლებამოსილებით, რათა თავად გაუმკლავდნენ საკუთარ საზოგადოებებში არსებულ პრობლემებსა და საკითხებს, საუკეთესო სტრატეგიაა, რომელიც ემსახურება მომავალი ცხოვრებისათვის მათ მომზადებასა და, ასევე, დემოკრატიის ხარსხის გაუმჯობესების გარანტიას წარმოადგენს.

კომპეტენციები

დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებებით სარგებლობას საჭირო კომპეტენციების დაუფლება განაპირობებს. კომპეტენციების განვითარება მათი პრაქტიკაში გამოყენების საფუძველზე წარმოებს, ახალ სიტუაციებში და პრობლემებთან გამკლავების კონტექსტში. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი სწავლის ის შესაძლებლობები, რომელსაც დემოკრატიული სკოლის საზოგადოებაში მონაწილეობა სთავაზობს მოსწავლეებს. ევროპის საბჭოს კომპეტენციების მოდელი კომპეტენციათა ოთხ ჯგუფს გამოყოფს, ესენია, ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

- ღირებულებები მოიცავს "აქტიური მოქალაქეობის აღიარებასა" და „დემოკრატიული პროცესებისა და პროცედურების მხარდაჭერას", რომელთა შეძენაც მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის გზით.
- პატივისცემა, რომელიც მოიცავს პირის, შეხედულების ან პრინციპის მიმართ დამოკიდებულებას, და მოქალაქეობრივი აზროვნება - "საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდა და ამ საზოგადოებასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება" არ ისწავლება მხოლოდ ქადაგებით, არამედ პირადი გამოცდილებითა და გააზრებით. სწორედ ამის გამოა მნიშვნელოვანი, რომ თქვენ და თქვენი სკოლის პერსონალმა (და იმედია, მოსწავლეთა მშობლებმაც) საკუთარი ქცევით მაგალითი მისცეთ ახალგაზრდა თაობას.
- უნარები მოიცავს „ჯგუფის წევრებს შორის კონსენსუსისა და კომპრომისის მიღწევის ხელშეწყობის უნარს". მასწავლებლებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ უნარების ათვისება წარმოებს პრაქტიკაში მრავალგზის გამეორების საშუალებით.
- საჯარო განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა გზების შესახებ ცოდნა და გააზრება მოითხოვს პრაქტიკული გამოცდილების საშუალებით სწავლას და ანალიზს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების პროცესში, და ამ ცოდნის შეძენა მხოლოდ წიგნებისა და სახელმძღვანელოების საშუალებით არ წარმოებს.

წყარო: ევროპის საბჭო (2016 წ.) დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

მონაწილეობა

რა საერთო აქვს დემოკრატიას სასკოლო განათლებასთან?

ძირითადი მიდგომა, ზემოქმედება, კომპეტენციები, პარადოქსები, შეზღუდვები

ა) დემოკრატიის სწავლა და ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

დემოკრატიის სწავლა შესაძლებელია ადრეული ასაკიდან და იგი სწორედ ამ ასაკიდან უნდა ისწავლებოდეს. მიდგომა, რომელსაც ჩვენი ვებგვერდი "ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში" გვთავაზობს, მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ჩვენ უნდა ვისწავლოთ დემოკრატიის შესახებ, რათა შევძლოთ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება
- ჩვენ უნდა ვიცხოვროთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა შევძლოთ ვისწავლოთ დემოკრატიის შესახებ

მოცემული თეზები გვკარნახობს, რომ, ერთი მხრივ, დემოკრატია დამოკიდებულია განათლების პრაქტიკაში გამოყენებაზე, და, მეორე მხრივ, დემოკრატიის პრაქტიკაში გამოყენება მის შესახებ სწავლის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს. ამრიგად, განათლება უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ ახალგაზრდებმა ისწავლონ დემოკრატიის შესახებ, თუ საზოგადოებას სურს დარჩეს ან გახდეს დემოკრატიული. ვინაიდან სკოლები ოფიციალურად არის პასუხისმგებელი ახალგაზრდა თაობის განათლებაზე, მათ დემოკრატია პრაქტიკაში უნდა დანერგონ, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას დემოკრატიის შესახებ. .

ბ) ზემოქმედება

მონაწილეობა არა მხოლოდ ხელს უწყობს დემოკრატიის შესახებ სწავლასა და ცოდნის შეძენას, არამედ, როგორც ეს კვლევებით დასტურდება, დადებითად ზემოქმედებს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, სწავლის პროცესსა და ზოგადად საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესზე: საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესზე მოსწავლეთა უკუკავშირის რეგულარულმა შეფასებამ და მოსწავლეთა მშობლებისა და საზოგადოების ჩართვამ სასკოლო განათლების პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და შედეგად გვაქვს უფრო მაღალი ხარისხის სკოლები და უფრო მაღალი ხარისხის განათლება. განათლების სხვადასხვა პერსპექტივით (მოსწავლეები, მასწავლებლები) ანალიზი განათლების გაუმჯობესების უაღრესად ეფექტური საშუალებაა. გარდა ამისა, მოსწავლეების მონაწილეობა დადებითად ზემოქმედებს მათ თვითშეფასებაზე, მოსწავლეების უფროსი ასაკის ადამიანებთან და საკუთარ თანატოლებთან ურთიერთობაზე, და, ასევე, სკოლის ეთოსზე. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართვა სკოლაში გასატარებელი რეფორმების პროცესებში უაღრესად დამაიმედებელ შედეგებს იძლევა.

გ) პარადოქსები

ინსტიტუციური პარადოქსი

სკოლა ექვემდებარება კონკრეტული სახელმწიფოს ნორმებს, ღირებულებებსა და კანონებს. სკოლა პასუხისმგებელია ახალგაზრდა თაობის განათლებაზე. ახალგაზრდებს არ აქვთ იმის თავისუფლება აირჩიონ სურთ თუ არა სკოლაში სიარული, რადგან სასკოლო განათლება სავალდებულოა. მშობლებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ მათმა შვილებმა სასკოლო განათლება მიიღონ. მასწავლებლებს არ აქვთ თავისუფლება აირჩიონ რა ასწავლონ მოსწავლეებს; სკოლას ისინი სამსახურში აჰყავს იმისთვის, რომ მათ მოსწავლეებს ასწავლონ ის, რაც სახლმწიფოს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამით არის გათვალისწინებული. მასწავლებლებს მოეთხოვებათ შეაფასონ მოსწავლეების აკადემიური მოსწრება იმ საგანში, რომელსაც ისინი ასწავლიან და იმ კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ არის დადგენილი. სკოლის ხელმძღვანელების დასაქმება აღნიშნულ პოზიციაზე წარმოებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სკოლის მართვა გახორციელდეს წინასწარ დადგენილი ოფიციალური კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. შესაბამისად, სკოლა არ წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ადამიანები თანასწორი უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობენ და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს საერთო მიზნის მისაღწევად და საერთო სარგებლის მისაღებად. ჯგუფებს შორის ურთიერთობა იერარქიის პრინციპს ემყარება და წარმოებს მრავალი სხვადასხვა საშუალებების გამოყენება ძალაუფლების გასახორციელებლად, ახალგაზრდა თაობის თანამედროვე ცხოვრებისთვის მოსამზადების მიზნით, რათა შემდგომ მათ საკუთარი ადგილი იპოვონ საზოგადოებაში, ერთმანეთისგან განსხვავებული და არათანაბარი პოზიციების დაკავებით.

პედაგოგიური პარადოქსი

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა ასახავს შემდეგ რეალობას: უფრო გამოცდილი და მცოდნე პირი საკუთარ ცოდნას გადასცემს და გამოცდილებას უზიარებს პირს, რომელსაც არასაკმარისი გამოცდილება აქვს და ცოდნის დაბალ დონეს ფლობს. ის უთანასწორობა, რომელიც არსებობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ან თუნდაც მშობელსა და ბავშვს შორის, წარმოშობს ბავშვის განათლების აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს, დაბრკოლებას ქმნის დემოკრატიის პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით.

დ) ყურადღება გაამახვილეთ შეზღუდვებსა და დაბრკოლებებზე

- დაიწყეთ თქვენით! გაანალიზეთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ზომების მიღება და რა ცვლილებების განხორციელება შეგიძლიათ. თქვენ წარმოადგენთ პირს, რომელიც მაგალითს აძლევთ სრულიად სკოლას. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ გქონდეთ მოლოდინი, რომ თქვენი სკოლის მასწავლებლები დემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელებენ, თუ თქვენ აჩვენებთ მათ, რომ თავად ხელმძღვანელობთ დემოკრატიული პრინციპებით.
- ნამდვილად გსურთ სკოლის საზოგადოების წევრები ხმის უფლებით სარგებლობდნენ? არავის მოეწონება აღმოაჩინოს, რომ მათი ჩართულობა და მონაწილეობა ფუჭი და არაფრის მომტანი იყო. უფრო მეტიც, ფსევდო-დემოკრატიული აქტივიზმის დანერგვას სჯობს ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღოთ და სკოლის საზოგადოებას გამჭვირვალედ მიაწოდოთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ფსევდო-დემოკრატია უკუშედეგის მომტანია და ხასიათდება შემდგომი დემოკრატიული პრაქტიკის მიმართ ნდობის შეამცირების ტენდენციით.
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ სკოლის თანამშრომლებს აძლევთ ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპებით მოქმედების რეალურ შესაძლებლობებს, ნუ გექნებათ იმის მოლოდინი, რომ ადამიანები მას მყისვე აიტაცებენ. ფაქტობრივად, ზოგიერთი შესაძლებელია ამის წინააღმდეგაც კი წავიდეს. დემოკრატიული პრინციპებით მოქმედება პასუხისმგებლობას გულისხმობს და მასში მონაწილე პირების მხრიდან მოთმინების გამოჩენას მოითხოვს. ფარ-ხმლის დაყრა არ ღირს. გააგრძელეთ მიზნისკენ სვლა! ბოლოს აღმოაჩენთ რომ შედეგი ღირდა ძალისხმევად.
- კარგად გაანალიზეთ გადაწყვეტილებების თავისუფლად მიღების შესაძლებლობები და ის ზღვრები, რომელთა გადალახვაც დაუშვებელია (მაგალითად, ბიუჯეტზე დაწესებული ზღვრები, კანონები, უმცირესობათა უფლებები, თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, ურთიერთგამომრიცხავი როლები).



მონაწილეობა

მონაწილეობითი დემოკრატიის ძირითადი ასპექტები სკოლაში

თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის ქმედებები უმნიშვნელოვანესია სკოლის დემოკრატიულ ან (უფრო დემოკრატიულ) საზოგადოებად ქცევის საქმეში. თუ თქვენ გსურთ ხელი შეუწყოთ დემოკრატიულ მონაწილეობას თქვენს სკოლაში, გეგმების შედგენისა და ქმედებების განხორციელების პროცესებში ჩართეთ ქვევით ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ასპექტები.

კომუნიკაცია

იყავით აქტიური მსმენელი (რისი თქმა სურთ რეალურად თქვენს გარშემომყოფ პირებს? რა მოსაზრებები გააჩნიათ მათ? რა სჭირდებათ მათ? როგორ აღიქვამენ ისინი მიმდინარე მოვლენებსა თუ ფაქტებს?). სხვების დარწმუნებას შეეცადეთ ლოგიკური და ამომწურავი არგუმენტებით. ღიად დასვით კითხვები და ასევე ღიად უპასუხეთ კითხვებს, რომლებსაც თქვენ გისვამენ. გულახდილად და გულწრფელად გამოთქვით და განმარტეთ თქვენი დამოკიდებულებები, ვარაუდები, გრძნობები იმ საკითხის მიმართ, რომლის შესახებაც წარმოებს გადაწყვიტილების მიღება. გაანალიზეთ მიღებული უკუკავშირი. შეაჯერეთ ყველა განსხვავებული შეხედულება და მოსაზრება (რა საერთო აქვს საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ ყველა მოსაზრებასა და შეხედულებას?). ეცადეთ მიღწეული იყოს კონსესუსი..

თანამშრომლობა

აწარმოეთ იმ ღირებულებებისა და ხედვების იდენტიფიცირება, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს თქვენი სკოლა და იმსჯელეთ ამ ღირებულებებსა და ხედვებზე სკოლის პერსონალთან ერთად. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ეცადეთ მიღწეული იყოს ერთსულოვანი შეთანხმება ამ ღირებულებებისა და ხედვების თაობაზე. საკუთარი წვლილი შეიტანეთ ნდობით გამსჭვალული ატმოსფეროს შექმნაში, და იმ შესაძლებლობებისა და ჩარჩოს შექმნაში, რომლებიც სკოლის საზოგადოების წევრებს შორის იდეებისა და პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას ემსახურება და ემსახურება თანამშრომლობის საფუძველზე იდეების გენერირებას, დაგეგმვასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

გამჭვირვალობა

გადაწყვეტილების მიღებისას შეინარჩუნეთ მაქსიმალური გამჭვირველობა გადაწყვეტილების წინაპირობებთან, არსებულ შეზღუდვებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინეთ სამართლებრივი ჩარჩო, ბიუჯეტი და ადგილობრივი პირობები. ამგვარ საკითხებზე ისაუბრეთ გარკვევით და ღიად. დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილე მუდმივად იყოს ინფორმირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, და/ან უზრუნველყავით წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე.

შემწყნარებლობა

ჩვენი დაპირისპირება სხვა პირთან ან ადამიანების ჯგუფთან შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული. ისინი, ვინც შემწყნარებლობის უნარს არასათანადოდ ფლობენ, მარტივ და ინდიფერენტულ მიდგომას ირჩევენ სხვების მიმართ. შემწყნარებლობის უფრო მაღალი ხარისხი საშუალებას გვაძლევს გავამდიდროთ ჩვენი გამოცდილება კონსტრუქციული დიალოგის წარმოებითა და სხვების გაგების გულწრფელი მცდელობებით. შეეცადეთ უფრო შემწყნარებელი იყოთ ისეთ ადამიანებთან ან ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობისას, რომლებსაც თქვენგან განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები გააჩნიათ.

სკოლის გარემო

უზრუნველყავით პოზიტიური, მშვიდობიანი გარემო, სადაც ყველა თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, ექნება განცდა, რომ მას პატივისცემით ეპყრობიან და ასევე ჭეშმარიტი საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდა. შექმენით გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთის მიმართ პატივისცემასა და თანაგრძნობას. შემოიტანეთ და დაამკვიდრეთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საშუალებები.

უფლებამოსილებების განაწილება

მზად იყავით საკუთარი უფლებამოსილება და პასუხიმგებლობა გაუნაწილოთ სხვებს. დარწმუნდით, რომ დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ იმის თაობაზე შეთანხმებაში, თუ რისი გაკეთება ევალებათ მათ, და როგორ. მზად იყავით კრიტიკის მისაღებად და იზრუნეთ კონტროლის ნდობის ჩანაცვლებაზე. დარწმუნდით, რომ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ რისკებს თქვენთან ერთად სხვებიც იზიარებენ და რომ ამ რისკების შესახებ ყველა მონაწილე ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას.

გადაწყვეტილების მიღება

გულდასმით შეისწავლეთ სკოლაში დემოკრატიის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობები (შესაძლებლობები და შეზღუდვები). შემოიღეთ ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების წესები (რაც გულისხმობს დემოკრატიული სტრუქტურების და პროცესების დამკვიდრებას). ასევე შემოიღეთ საკითხზე მსჯელობასთან, საკითხების განხილვასთან, კენჭისყრის წარმოებასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული წესები.

პატივი ეცით დემოკრატიული გზით მიღებულ გადაწყვეტილებებს, აღიარეთ ამგვარი გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობა და შეეცადეთ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები სისრულეში მოიყვანოთ. დარწმუნდით რომ მიღებული გადაწყვეტილებები ლეგიტიმურია როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური თვალსაზრისით.

ყველა უნდა სარგებლობდეს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით. თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ მოწყვლადი, სოციალურად თუ სხვაგვარად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფები.

როდესაც საქმე ეხება შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების გადანაწილებას, გაითვალისწინეთ ის ინტერესი და კომპეტენციები, რომლებსაც ეს პირები ფლობენ.

ინიციატივა

წაახალისეთ და ხელი შეუწყეთ ინიციატივებს და უზრუნველყავით მოქნილი გარემო მათ გასახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ ეს გამართლებულია, დაუშვით დამკვიდრებული წესებიდან გადახვევის შესაძლებლობა და უზრუნველყავით გარემო, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება, იდეების გამოცდა და შეცდომების დაშვება.

რესურსები

უზრუნველყავით დემოკრატიული პროცესებისთვის საჭირო რესურსები (დრო, ინფორმაცია, ინსტიტუციური მხარდაჭერა).

მონაწილეობა

დაინტერესებული პირები

თუ თქვენ სკოლაში მონაწილეობითი დემოკრატიის დანერგვა გსურთ, აუცილებელია განსაზღვროთ თუ ადამიანთა რომელი ჯგუფები უნდა იყოს ჩართული შესაბამის პროცესებში და რა ფუნქციები უნდა ჰქონდეთ მათ. გარდა ამისა, თუ სახელმწიფოში მოქმედებს კანონი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს კონკრეტულ უფლებებს ანიჭებს სკოლაში გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით, ან თუ სახელმწიფოში სამართლებრივად არის დადგენილი ისეთი ინსტიტუტების აუცილებლობა, როგორიცაა მოსწავლეთა საბჭო ან სკოლის საერთო საბჭო (რომელშიც შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები), თქვენ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ეს კანონები თუ რეგულაციები და მაქსიმალურად შეეცადოთ სკოლის სასიკეთოდ გამოიყენოთ ისინი.

მოსწავლეები...

...წარმოადგენს პირველი რიგის სამიზნე ჯგუფს, რომელთა მოვალეობაშიც შედის სწავლა და დემოკრატიის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება სკოლის კონტექსტში. მათი ჩართვა შესაძლებელია გაკვეთილის დროს განხორციელებულ სწავლებისა და სწავლის პროცესებში, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მთლიან კლასს ეხება (საკლასო წესები, ექსკურსიები, საზოგადოებრივი საქმიანობა, და ა.შ.), და, ასევე, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მთლიან სკოლას ეხება, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, სასკოლო ღონისძიებები, საერთო სასკოლო წესები. გარდა ამისა, მოსწავლეები ფასდაუდებელ რესურსს წარმოადგენენ საკლასო გარემოში ან მთლიანად სკოლის მასშტაბით განათლების რეფორმისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. გარდა ამისა, შესაძლებელია მათი უზრუნველყოფა დემოკრატიული გზით განათლების მიღების შესაძლებლობით, ნებისმიერი გაკვეთილის ფორმატში, სასწავლო მასალების გამოყენებით, რომლებიც მოცემულია ამ ვებ-გვერდზე: სწავლება დემოკრატიის შესახებ და ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მშობლები...

...პასუხისმგებელი არიან საკუთარ შვილებზე. აქედან გამომდინარე, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ საკუთარი შვილების განათლების საქმეში. სკოლაში სათანადო განათლების მიღება და მოსწავლეების წარმატების უზრუნველყოფა შეუძლებელია მშობლების მხარდაჭერისა და მათი მხრიდან თანამშრომლობისათვის მზაობის გარეშე. სწორედ ამიტომ არის სასკოლო პროცესებში მშობლების ჩართვა ესოდენ მნიშვნელოვანი. მშობლების სასკოლო პროცესებში ჩართვა მრავალი სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. ეფშტეინი გვიზიარებს მოსაზრებებს მშობელთა სასკოლო პროცესებში ჩართვასთან დაკავშირებით, მათ შორის, მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა

დაეხმარონ ისინი საკუთარ შვილებს, სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიმართულებით, ან მათთვის ინფორმაციის მიწოდება რეგულარულად თავიანთი შვილების მიღწევების შესახებ და სასკოლო პროგრამების შესახებ. მშობლებს ასევე ეძლევათ საშუალება მოხალისეების რანგში ჩაერთონ სასკოლო პროცესებში, მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებებში ან სხვადასხვაგვარი დახმარება გაუწონ სკოლას. და ბოლოს, მშობლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

მასწავლებლები...

...წარმოადგენენ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების განათლებას სკოლაში. მათი სწავლების პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ სწავლობენ მოსწავლეები. მასწავლებლები კარგად იცნობენ საკუთარი მოსწავლეების ძლიერ მხარეებს, მათ სუსტ მხარეებსა და პიროვნულ მახასიათებლებს. მასწავლებლები სკოლის ხელმძღვანელის ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეებს წარმოადგენენ. სკოლის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებს შორის ჯანსაღი და მჭიდრო თანამშრომლობა სწავლებისა და სწავლისათვის სათანადო გარემოს უზრუნველუოფის არსებითი წინაპირობაა. სკოლის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებს შორის რეგულარული შეხვედრები სკოლების უმრავლესობაში მიღებული და კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა. ამ შეხვედრების ფორმატში შესაძლებელია: მთავრობის მიერ შემოღებული ახალი რეგულაციების ღიად განხილვა და თქვენს სკოლაზე ამ რეგულაციების ზემოქმედებასა და შედეგებზე მსჯელობა, მასწავლებელთა დამოკიდებულებებისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება, ინიციატივების წახალისება, პასუხისმგებლობების განაწილება და, ასევე, სკოლის მასწავლებლების ჩართვა თქვენს სკოლაში მიღებულ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში.

საზოგადოება...

...ქმნის სოციალურ კონტექსტს, რომელშიც თქვენი სკოლა ფუნქციონირებს. საზოგადოების წარმომადგენლები მოიცავს რიგით მოქალაქეებს, საჯარო და კერძო ასოციაციებს, საწარმოებსა და კომპანიებს, სხვა საჯარო განათლების დაწესებულებებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტებს (სამედიცინო დაწესებულებები, პოლიცია და ა.შ.), და, აგრეთვე, საჯარო მოხელეებსა და საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს. ამ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა სკოლას მის მიერ შეთავაზებული იმ მომსახურების გაფართოების საშუალებას აძლევს, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლების საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ისეთი დაინტერესებული მხარის ჩართვა როგორიც საზოგადოებაა, სკოლის პროგრამის საზოგადოების საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითად, თუ პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციით გაზრდილია ვანდალიზმის შემთხვევების რიცხვი, ან ექიმების თანახმად, ბავშვებს შორის იმატა ვიდეო-თამაშებზე დამოკიდებულების დონემ, სკოლას შეუძლია ამ პრობლემების მოგვარების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები ჩართოს სკოლის სასწავლო პროგრამაში.

ხელისუფლების წარმომადგენლები...

...ზედამხედველობასუწევენსკოლისთვისსავალდებულოკანონების,წესებისადარეგულაციებისაღსრულებას. ისინი მონიტორინგს სკოლის საქმიანობის შემოწმებით, შეფასებითა და მასზე დაკვირვების საშუალებით აწარმოებენ. ზოგადად, აუცილებელია სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ესადაგებოდეს მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გეგმების შესახებ და, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, შეეცადეთ ჩართოთ ისინი სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადრეულ ეტაპზე. ნდობის გარემო უფრო მეტად განაწყობს მათ, და განაპირობებს მათ მზაობას, მხარი დაუჭირონ თქვენს იდეებს, ხედვასა და თქვენ მიერ ინიცირებულ პროექტებს.

მონაწილეობა

მონაწილეობის კიბე: ეცადე იყო გულახდილი!

სოციოლოგი როჯერ ჰარტი არის ავტორი ნაშრომისა, სახელწოდებით „ბავშვთა მონაწილეობა: ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა საზოგადოების განვითარებისა და გარემოს დაცვის ინიციატივაში, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 1997 წ. - თეორია და პრაქტიკა“. ამ ნაშრომში აღწერილი მიდგომა იქცა მსოფლიოში ახალგაზრდებისა და მათ მოკავშირეთა გლობალური მოძრაობის სტიმულად, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება. იგი თქვენ, მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს, უნიკალურ შესაძლებლობას გთავაზობთ: ნათლად დაინახოთ რამდენად უწყობთ ხელს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასა და ჩართულობას. აღმოჩნდა რომ, ძალიან ხშირად, ბავშვებს, სცენაზე, ღონისძიების ფარგლებში გამართუ ლი შეხვედრებისას, თუ თეატრალურ წარმოდგენებში, დეკორაციების სახით ვიყენებთ, ან, მაქსიმუმ, ამ უმცირესობათა ჩართვა პროცესებში სიმბოლურად წარმოებს, სინდისის დასამშვიდებლად. (http://www.freechild.org/ladder.htm)

მოსწავლეები ახდენენ საჭიროების იდენტიფიცირებას ან ადგენენ გეგმას. ისინი არწმუნებენ უფროსებს, რომ საჭიროა მათი მხარდაჭერა ან დაფინანსება. მოსწავლეები და უფროსები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას და ახორციელებენ მას.	8	მოსწავლეების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება უფროსებისთვის
მოსწავლეებს აქვთ იდეა და აჟღერებენ მას. ისინი თავად იღებენ ინიციატივას და თავად ახორციელებენ საკუთარ გეგმებს.	7	მოსწავლეების მიერ ინიცირება და მართვა
იგეგმება სკოლაში ახალი ეზოს შენება. მოსწავლეებს ეკითხებიან აზრს და მათ ასევე შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ რამდენიმე დეტალთან დაკავშირებით.	6	უფროსების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება მოსწავლეებისთვის
გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსწავლეებისგან რჩევას იღებენ უფროსები. უფროსები ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებსა და შემოთავაზებებს.	5	მოსწავლეებს უთანხმდებიან და აწვდიან მათ ინფორმაციას
საზოგადოებრივი სამუშაოს შესასრულებლად ორგანიზებულია მოსწავლეთა ჯგუფი, რომელთაც არ ეკითხებიან სურთ თუ არა ამ სამუშაოს შესრულება, თუმცა ისინი ინფორმირებულნი არიან მიზნების შესახებ.	4	მოსწავლეებს ავალებენ რაიმეს შესრულებას და აწვდიან მათ ინფორმაციას
წარმოებს მოსწავლეების (მაგალითად, უმცირესობების წარმომადგენლების) შერჩევა და მათთვის შესაძლებლობის მიცემა დაესწრონ ღონისძიებას, თუმცა მათ არ ეძლევათ აზრის გამოთქმის საშუალება და არც მომზადებულები არიან ამისთვის. მათი დასწრება ღონისძიებაზე პოლიტიკური კორექტურობის დემონსტრირებას ემსახურება.	3	სიმბოლიზმი: (უმცირესობათა) სიმბოლური ინტეგრაცია
მოსწავლეებს ამზადებენ ღონისძიებისთვის, სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მოსწავლეები საზოგადოების წინაშე წარსდგებიან ხელში ყვავილებით ან ფოშებით. ისინი აღამაზებენ უფროსების (ან შესაძლოა ბავშვთა უფლებების დაცვის ღონისადმი მიძღვნილ) ღონისძიებას.	2	დეკორაცია: მოსწავლეებს იყენებენ
მოსწავლეები ორგანიზებულად მონაწილეობენ პოლიტიკურ დემონსტრაციაში ხელში პოლიტიკური შინაარსის პლაკატებით. ისინი გამოწყობილი არიან პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის სიმბოლურ ფერებში.	1	მანიპულაცია: მოსწავლეებს იყენებენ „ბოროტად“

მონაწილეობა

მნიშვნელოვანი ასპექტები

წინამდებარე ნაწილში "მზადება" მოცემულია ოთხი ღილაკი, რომელთა არჩევისას თქვენ გექნებათ წვდომა სხვადასხვა კითხვარზე, რომლებიც საშუალებას მოგცემთ აწარმოოთ სკოლაში არსებული დემოკრატიის პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასება და ანალიზი.

1. მოსწავლეების, მათი მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა
2. მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები (პრაქტიკა და თანამშრომლობა)
3. გადაწყვეტილების მიღება, კომუნიკაცია და ძალაუფლება
4. სკოლის გარემო, გამჭვირვალობა და ინიციატივა

მოცემული კითხვარების გამოყენება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი, თუმცა მიზანს, ყველა შემთხვევაში, წარმოადგენს სიტუაციის ანალიზი და სკოლაში მოქმედების დასაწყებად კონკრეტული სფეროს იდენტიფიცირება.

კითხვარებით სარგებლობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ა) შეავსეთ ყველა კითხვარი თავად, როგორც სკოლის ხელმძღვანელმა, და აწარმოეთ ანალიზი იმ ასპექტებისა და სფეროების გამოსავლენად, რომლებიც გამართულად მუშაობს, და რომლებიც დამატებით ძალისხმევას და მხარდაჭერას საჭიროებს თქვენს სკოლაში.

ბ) დაავალეთ სკოლის მასწავლებლებს კითხვარების შევსება და ერთად შეუდექით შედეგების ანალიზს. შეგიძლიათ გამოხვიდეთ გამოკითხვის შედეგების განხილვის მიზნით შეხვედრის ორგანიზების ინიციატივით. ეცადეთ გამოარკვიოთ რომელ კითხვაზე პასუხი იყო თქვენთვის მოულოდნელი. შედეგების ანალიზი ემსახურება იმ ასპექტებისა და სფეროების გამოვლენას, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა იქნას მიჩნეული, სკოლაში დემოკრატიის პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით.

გ) შენიშვნა: ნაწილში - „საკონტროლო კითხვები, მოქმედების გეგმა და მეთოდები" - აღწერილია უფასო ონ-ლაინ გამოკითხვის ინსტრუმენტი (Google driven). ამ ინსტრუმენტით სარგებლობისთვის, თქვენ უნდა გადაიტანოთ კითხვები სპეციალურ ფორმაში, რის შემდეგაც შეგიძლიათ შეუდგეთ თქვენი სკოლის მასწავლებლების გამოკითხვას ონ-ლაინ რეჟიმში. სისტემა გამოკითხვის შედეგებს დაუყოვნებლივ ასახავს, რის შემდეგაც შეგიძლიათ შეუდგეთ შედეგების განხილვას მასწავლებლებთან ერთად.

დ) კითხვარები ან კითხვარებში შესული ზოგიერთი კითხვა შეგიძლიათ გამოიყენოთ დაკვირვების წარმოებისას, რაც საშუალებას მოგცემთ დეტალური ინფორმაცია მიიღოთ თქვენს სკოლასა და კლასებში არსებული პრაქტიკის შესახებ. კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შეგიძლიათ რეგულარულად აწარმოოთ ამგვარი დაკვირვება, სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. საჭიროების არსებობისას, დაკვირვების შედეგები შეგიძლიათ გადაამოწმოთ სკოლის მასწავლებლებთან.

ე) კითხვარებიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ კონკრეტული სფეროები ან კითხვები და სკოლის მასწავლებლებთან მსჯელობა დაიწყოთ ამ სფეროებსა თუ კითხვებზე, კონკრეტულ საკითხებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით

შენიშვნა 1: ნაცვლად იმისა რომ აირჩიოთ მხოლოდ ერთი ზემოთაღწერილი ხერხი, თქვენ შეგიძლიათ რამდენიმე ხერხს ერთად მიმართოთ. მაგალითად, შეავსოთ კითხვარები თავად, შემდეგ ჩაატაროთ მასწავლებლების გამოკითხვა, რის შემდეგაც გაიმართება გამოკითხვის შედეგებზე მსჯელობა მასწავლებლების მონაწილეობით; და ბოლოს შეგიძლიათ აწარმოოთ დაკვირვება და შეაგროვოთ ინფორმაცია თქვენი სკოლის კონკრეტული ასპექტების შესახებ

შენიშვნა 2: მას შემდეგ, რაც მოახდენთ იმ ასპექტებისა და სფეროების იდენტიფიცირებას, რომელთა მიმართულებითაც საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება თქვენს სკოლაში, შეგიძლიათ ისარგებლოთ რჩევებითა და რეკომენდაციებით, რომლებიც ნაწილში - „მოქმედება" - არის მოცემული.



მონაწილეობა

მონაწილეობის შესაძლებლობების შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
მოსწავლეები: ჩვენს სკოლაში...				
... მოსწავლეები ჩართული არიან, სკოლის ფარგლებში, იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც ეხება სკოლის წესებს, პროგრამებს, ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურას, რეფორმებსა და ა.შ.				
... არის მოსწავლეთა ინსტიტუციური სტრუქტურები და წარმომადგენლობითი ორგანოები, როგორიცაა, მოსწავლეთა პარლამენტი, სკოლის საბჭო, კლასის საბჭო და ა.შ.				
მოსწავლეები: გაკვეთილზე... (შენიშვნა: თუ თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი, უპასუხეთ მხოლოდ თქვენი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით)				
... მოსწავლეები ცალკე საგნის ფარგლებში სწავლობენ დემოკრატიას, მაგალითად, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ				
... მოსწავლეები პრაქტიკის საფუძველზე ეუფლებიან დემოკრატიას.				
... მოსწავლეებს შეუძლიათ უკუკავშირის დამყარება.				
... მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თავად აირჩიონ რა დროს რა ტიპის აქტივობით დაკავდნენ.				
... მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ სად სურთ მუშაობა (რომელ საკლასო ოთახში, ან საკლასო ოთახის რა ნაწილში).				
... მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ ვისთან ერთად სურთ მუშაობა.				
... მასწავლებლები მოსწავლეებს ისეთი ამოცანების შესრულებას ავალებენ, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა გზით იქნას გადაჭრილი.				
... მასწავლებლები მოსწავლეებს ისეთი ამოცანების შესრულებას ავალებენ, რომლებსაც შესაძლებელია სხვადასხვა რეზულტატი, მაგალითად, პასუხი ჰქონდეს.				
... მოსწავლეები მონაწილეობენ წესების შემუშავებაში.				

... მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.				
... მასწავლებლები შესაძლებლობას აძლევენ მოსწავლეებს აწარმოონ თვითშეფასება.				
... მოსწავლეები ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას იმის თაობზე, თუ რატომ იღებენ ისინი ამა თუ იმ შეფასებას.				
მშობლები				
მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ				
მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის პროგრამების შესახებ.				
მშობლებს სკოლა მიმართავს წინადადებით ითანამშრომლონ სკოლასთან როგორც მოახისეებმა და დაეხმარონ სკოლას რიგი საკითხების მოგვარებაში.				
მშობლები ინფორმირებული არიან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაეხმარონ საკუთარ შვილებს, სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიმართულებით.				
სკოლა საშუალებას აძლევს მოსწავლეების მშობლებს მონაწილეობა მიიღონ სკოლის ფარგლებში ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, როგორიცაა სკოლის წესები, პროგრამები, ღონისძიებები, რეფორმები და ა.შ.				
სკოლაში არსებობს მშობელთა ინსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგალითად როგორიცაა, მშობელთა საბჭო.				

მონაწილეობა

მასწავლებლებისა და საზოგადოების ჩართულობის შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებლები				
ჩვენს სკოლაში გამოყოფილია დრო იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშაონ რეგულარულად, მაგალითად, შექმნილია მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფები.				
სკოლაში ჩვენს მუშაობას საფუძვლად უდევს საერთო ღირებულებები და საერთო ხედვა.				
სკოლის კოლექტივის წევრებს შორის მაღალია ნდობის ხარისხი.				
(შენიშვნა: თუ თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი, უპასუხეთ მხოლოდ თქვენი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით)				
მასწავლებლები სარგებლობენ ამ ვებ-გვერდზე არსებული ევროპის საბჭოს ინსტრუმენტის: „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ სასწავლო მასალებით.				
მასწავლებლები სარგებლობენ თავისუფლებით მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე თუ როგორ იმუშაონ.				
მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნას, გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.				
მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ სათანადო განათლება მიაღებინონ მოსწავლეებს, რომლებიც (კულტურული თვალსაზრისით, გონებრივი თუ ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით) არაპრივილიგირებულ ჯგუფებს განეკუთვნებიან.				
მასწავლებლების ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ მათი სწავლების პრაქტიკა მაქსიმალურად ესადაგებოდეს და აკმაყოფილებდეს მოსწავლეების საჭიროებებს.				
მასწავლებლებს მუდმივად აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია.				

მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, საკუთარ მოსაზრებებს, გამოცდილებას, ცოდნას, სასწავლო მასალებს და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.				
მასწავლებლები აკვირდებიან სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და უკუკავშირს ამყარებენ ერთმანეთთან.				
მასწავლებლები მუშაობენ საკუთარ კოლეგებთან ერთად, გაკვეთილის მომზადებისა ან ახალი იდეის დანერგვის მიზნით.				
მასწავლებლები ერთმანეთთან ათანხმებენ სასწავლო მასალას, ტესტებსა და შეფასების კრიტერიუმებს.				
საზოგადოება				
ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ფართო საზოგადოებასთან, მოსწავლეებისათვის დამატებითი მომსახურების შეთავაზების მიზნით.				
ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ფართო საზოგადოებასთან, რათა სასწავლო პროგრამები რაც შეიძლება უკეთ იყოს მორგებული საზოგადოების საჭიროებებზე.				

მონაწილეობა

სკოლის გარემოს, გამჭვირვალობისა და ინიციატივის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლის გარემო				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები გრძნობენ რომ მათ პატივს სცემენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები თავს კომფორტულად გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები გრძნობენ რომ მათ პატივს სცემენ.				
ჩვენს სკოლაში კეთილგანწყობლი და სათანადო გარემოა შექმნილი.				
ჩვენს სკოლაში დამკვიდრებულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პრაქტიკა.				
გამჭვირვალობა				
სკოლის ხელმძღვანელი ინფორმაციას აწვდის სკოლის კოლექტივს და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.				
სკოლის ხელმძღვანელი ნათლად განუმარტავს სკოლის მასწავლებლებს კანონებს, რეგულაციებს, აცნობს მათ არსებულ მოლოდინებსა და შესაძლებლობებს.				
სკოლის ხელმძღვანელი გულახდილად და ღიად უზიარებს სკოლის მასწავლებლებს საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს.				
სკოლის ხელმძღვანელი რეგულარულად აწვდის სკოლის კოლექტივს ინფორმაციას სკოლაში არსებულ ვითარებაზე, მომხდარ ფაქტებზე, მიმდინარე პროცესებზე და სკოლასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.				

ინიციატივის თვალსაზრისით არსებული სიტუაცია				
სკოლაში როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები სარგებლობენ ხელშეწყობით, რათა მათ თავისუფლად წამოაყენონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები და პრაქტიკაში დანერგონ ისინი.				
სკოლაში წარმოებს შემოქმედებითი აზროვნებისა და ინოვაციური წინადადებების ხელშეწყობა და წახალისება.				

მონაწილეობა

სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების, კომუნიკაციისა და ძალაუფების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასება

შენიშვნა: რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ისარგებლოთ მოცემული კითხვარით შეგიძლიათ იხილოთ ნაწილში „მზადება: – მნიშვნელოვანი ასპექტები“

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლაში გადაწყვეტილების მიღების დროს ...				
...სკოლის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ყველა იმ პირის ჩართულობას (მასწავლებლების, მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების) რომლებსაც ეხებათ აღნიშნული გადაწყვეტილება.				
...სკოლა უზრუნველყოფს მოწყვლადი და მარგინალიზებული პირების წახალისებასა და ხელშეწყობას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.				
...სკოლის კოლექტივის წევრები ერთმანეთს აქტიურად უსმენენ და ცდილობენ გაუგონ ერთმანეთს.				
...სკოლის კოლექტივის წევრები ერთმანეთის დარწმუნებას ცდილობენ ლოგიკური და გასაგები არგუმენტებით.				
...სკოლის კოლექტივის წევრები თავისუფლად და ღიად სვამენ კითხვებს და ასევე ღიად პასუხობენ მათ მიმართ დასმულ კითხვებს.				
...სკოლის კოლექტივის წევრები გულწრფელად გამოთქვამენ და განმარტავენ საკუთარ დამოკიდებულებებს, ვარაუდებსა და გრძნობებს.				
...წარმოებს დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ხედვებისა თუ მოსაზრებების გათვალისწინება.				
...ვცდილობთ გამოვნახოთ საერთო საფუძველი და მივაღწიოთ თანხმობას.				
როდესაც სკოლის ხელმძღვანელი აწარმოებს შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების განაწილებას სკოლის კოლექტივის წევრებს შორის, გათვალისწინებულია მათი ინტერესები და კომპეტენციები, რომლებსაც ისინი ფლობენ.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
ჩვენს სკოლაში				
...უკუკავშირის დამყარება, მიღებული და დამკვიდრებული პრაქტიკაა.				
...წერილობითი ფორმით არსებობს რეგულაციები, რომლებიც სკოლაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და პროცესების დანერგვასა და დამკვიდრებას ემსახურება.				
... გამოყოფილია დრო სათათბიროდ და მსჯელობისათვის, ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.				
...სკოლის ხელმძღვანელი მუდმივად დიალოგში იმყოფება სკოლის პერსონალთან.				
...გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს ყველა პირი (ან ადამიანების ჯგუფი) რომლებსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება.				
...ადამიანებს რეგულარულად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (ხელის აწევით, სასურველი პასუხის შემოხაზვით და ა.შ.).				
...არიან არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესების დასაცავად.				
...სკოლის ხელმძღვანელი ნათლად და გასაგებად ხსნის საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით დაწესებულ შეზღუდვებსა და მათ მიერ შექმნილ შესაძლებლობებს.				
ძალაუფლება				
სკოლის ხელმძღვანელი მხარს უჭერს დემოკრატიული გზით მიღებულ გადაწყვეტილებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გადაწყვეტილებები არ ესადაგება მის პიროვნულ ინტერესებს.				
სკოლის ხელმძღვანელი იღებს კონსტრუქციულ კრიტიკას.				
სკოლის ხელმძღვანელი სხვებთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას.				
ჩვენს სკოლაში ყველა თანაბრად ვართ ანგარიშვალდებული წარმატებასა და წარუმატებლობაზეც.				

მონაწილეობა

ხუთეტაპიანი პროცესი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

ქვემოთ მოცემული ხუთეტაპიანი პროცედურა წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის იდეალური პროცესის (წყარო: Fung 2004) ილუსტრაციას, რომელიც თქვენ შეგიძლიათ თქვენს სკოლაში გამოიყენოთ. აღნიშნულ პროცესში შეგიძლიათ ჩართოთ სკოლის პერსონალი და აგრეთვე მოსწავლეებიც, მათი მშობლებიც და სხვა პირები, რომლებსაც ეხებათ ის გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც წარმოებს.

1. **დღის წესრიგის დადგენა (საკითხის იდენტიფიცირება):** განსახილველი საკითხი შესაძლებელია:
   ა) ეხებოდეს სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებულ კანონებსა ან რეგულაციებს,
   ბ) ეხებოდეს მიმდინარე კვლევას ან სკოლაში არსებულ აქტუალურ თემასა ან პრობლემას,
   გ) ან წარმოადგენდეს საკითხს, რომელზეც შედგა ერთობლივი შეთანხმება.
2. **მსჯელობა და წინადადებები:** საკითხის მოგვარების ალტერნატიული გზების, სტრატეგიებისა და
   ა) კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს,
   ბ) ღონისძიების გატარების ვალდებულებების განაწილებას,
   გ) პროგნოზს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს გამოიღებს აღნიშნული ღონისძიების გატარება, საკითხის მოგვარების მიმართულებით, და
   დ) ღონისძიების სათანადოდ გატარებისა და სასურველი რეზულტატის შეფასების მეთოდს.
3. **მოქმედება:** პროცესში მონაწილე პირები უზრუნველყოფენ ღონისძიების გატარებას სამოქმედო გეგმის მიხედვით.
4. **შეფასება:** მას შემდეგ რაც ღონისძიება გატარებული იქნება, პროცესში მონაწილე პირები განიხილავენ პროცესის მსვლელობას. მოცემული პროცესის არც 1-ლი ეტაპის და არც მე-2 და მე-3 ეტაპების შედეგები არ არის სასურველი რეზულტატს მიღების გარანტია - რეგულაციის მიღება, თუ პრობლემის გადაჭრა, საკითხის მოგვარება თუ კითხვაზე პასუხი. მე-2 ეტაპზე წარმოებს ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებების მოსალოდნელი რეზულტატის განსაზღვრა, ხოლო მე-3 ეტაპი გულისხმობს ამ ღონისძიების ეფექტურობის გამოცდას. შეფასება იძლევა ინფორმაციას ღონისძიების ეფექტურობის თაობაზე.
5. **რეზულტატი:** შეფასების შედეგების საფუძველზე, პროცესი შესაძლებელია შეწყდეს ან დაიწყოს თავიდან. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს ყველა აღმოჩენილი პრობლემისა და გამოყენებული სტრატეგიის ხელახლა შეფასება, უკეთესი რეზულტატის მისაღებად.

მონაწილეობა

კლასის საბჭო

კლასის საბჭო, სკოლის თითოეულ კლასში, ჩვეულებრივ, დგება კვირაში ერთხელ.

კლასის საბჭო წარმოადგენს ინსტიტუციურ სტრუქტურას, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ის, რაც მათ აწუხებთ, გამოთქვან და განიხილონ მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან ერთად. ჩვეულებრივ, სკოლას გააჩნია წერილობითი დოკუმენტი, რომელიც კლასის საბჭოს ჩარჩოს წარმოადგენს და რომელშიც შესულია კლასის საბჭოს ძირითადი მახასიათებლები და პირობები. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ მსგავსი დოკუმენტი, თქვენს თანამშრომლებთან ერთად, და, აქ აღწერილი სამოქმედო გეგმის გამოყენებით, უზრუნველყოთ კლასის საბჭოების ეტაპობრივი დაარსება სკოლის მასშტაბით. დემოკრატიულად მოაზროვნე სკოლის ხელმძღვანელის მიზანს წარმოადგენს კლასის საბჭოების შექმნა სკოლაში არსებულ ყველა კლასში. დარწმუნდით, რომ მასწავლებლები სათანადოდ არიან ამისთვის მომზადებული. სკოლაში, იმ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ენთუზიაზმით ეკიდებიან აღნიშნულ ინიციატივას, დაგეგმეთ მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, რაც ამ მიმართულებით თქვენ მიერ გაღებული ძალისხმევის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ქვევით მოცემულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ყველა მონაწილე პირი:

კლასის საბჭოს ძირითადი კომპონენტები:

- განსახილველი საკითხების (კონფლიქტები, ინფრასტრუქტურა, ექსკურსია, წესები, სასწავლო მასალები და ა.შ.) მოძიება და შეგროვება; მოსწავლეებს შეუძლიათ ის საკითხები, რომლებიც მათი აზრით განხილვას საჭიროებს, დაამატონ სპეციალურად ამ მიზნით კლასის საბჭოს მიერ წარმოებულ სიას, ან წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული მოათავსონ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ფაილში.
- საჭიროა როლებისა და ფუნქციების (მაგალითად, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, თავმჯდომარე, ჩანაწერების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რეგლამენტის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი) განაწილება. როლებისა და ფუნქციების სათანადოდ შესრულებისათვის მოსწავლეების მომზადება წარმოებს კლასის საბჭოს დაფუძნებისთანავე, მასწავლებლის ან კლასის დამრიგებლის დახმარებით.
- მიზანი: კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი ეტაპობრივად წყვეტს მოსწავლეების დახმარებას და მოსწავლეები განაგრძობენ საკუთარი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებას.

კლასის საბჭოს სხდომის ეტაპები - დეტალურად:

მზადება კლასის საბჭოს სხდომისთვის:

- სხდომის დაწყებამდე: წარმოებს განსახილველი თემების/საკითხების თავმოყრა და დახარისხება (თემების შეგროვება).
- მოსწავლეები ამზადებენ უკანასკნელი სხდომის ოქმსა და დაგეგმილი სხდომის ოქმის ფორმას.
- საკლასო ოთახში სკამები განლაგდება წრეზე და წარმოებს მასალების მობილიზება.
- წარმოებს სხდომის თავმჯდომარის არჩევა (ყველა სხდომას შესაძლებელია ჰყავდეს თავისი თავმჯდომარე, თუმცა შესაძლებელია თავმჯდომარე არჩეული იყოს ერთი სრული სემესტრის განმავლობაში გამართული სხდომების წარმართვისათვის).

სხდომის გახსნა:

კლასის საბჭოს შეუძლია სხდომა გახსნას მისასალმებელი სიტყვით, რომლითაც სხდომის თავმჯდომარე მიმართავს სხდომის დამსწრეებს და რომელშიც მას შეუძლია ისაუბროს მოსწავლეებს შორის ურთიერთგაგებასა და საერთო სურვილებსა და მიზნებზე.

გასულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა:

კლასის საბჭო მოკლედ მიმოიხილავს გასულ სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათთან დაკავშირებით დამსწრეების მიერ გამოთქმულ მნიშვნელოვან მოსაზრებებს ჩაინიშნავს და შესაძლებელია ეს მოსაზრებები დაურთოს მიმდინარე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს.

ოქმში შესული საკითხების მიმოხილვა:

საბჭო განიხილავს საკითხთა ჩამონათვალს, შემდეგი პრინციპით.

- კვლავ აქტუალურია საკითხი ან თემა? ხომ არ საჭიროებს საკითხი ან თემა განმეორებით ან შემდგომ განხილვას?
- ხომ არ იჩინა თავი რაიმე საკითხებმა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს?
- ხომ არ არის საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოძიება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება?

პრობლემების განხილვა/კონფლიქტების მოგვარება:

მოსწავლეები საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აღელვებთ, ეძებენ გამოსავალსა და განიხილავენ პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებულ ვარიანტებს. მოსწავლემ, რომელიც საბჭოს აცნობს განსახილველ საკითხს, უნდა აღწეროს რაში მდგომარეობს საკითხის არსი და პრობლემა. სხვა მოსწავლეები, მას შემდეგ რაც გაეცნობიან საკითხის არსს, სვამენ კითხვებს, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და ეძებენ გამოსავალს (რა დროსაც მოსწავლეები მუშაობენ მცირერიცხოვან ჯგუფებში, ან მთელი კლასი ერთად).

გადაწყვეტილების მიღება:

მას შემდეგ რაც დასრულდება საკითხზე მსჯელობა, მიღებული უნდა იქნას ერთსულოვანი გადაწყვეტილება (კენჭისყრის საშუალებით, ან შეთანხმების გზით) და შემუშავდეს პროცედურა, რომელიც საკითხის მოგვარების პროცესს დაედება საფუძვლად.

ჩანაწერის გაკეთება გადაწყვეტილების შესახებ:

გადაწყვეტილებების შესახებ წარმოებს ჩანაწერების გაკეთება, რომლებიც დოკუმენტების ფორმით ინახება კლასის საბჭოს ფაილში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, კლასის საბჭომ უნდა შეამოწმოს, შესრულდა და/ან სრულდება თუ არა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილეები (და თუ არა, რატომ?).

შეჯამება და უკუკავშირი სხდომის ფარგლებში:

მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას, რომელიც მათ კლასის საბჭოს ფარგლებში მუშაობის პერიოდში მიიღეს და მსჯელობენ მასზედ, თუ რამ იმუშავა კარგად და რამ არა და რას შეცვლიდნენ ისინი ინდივიდუალურად და ერთად.

სხდომის დახურვა:

სხდომის თავმჯდომარე სხდომის დამსწრეებს კიდევ ერთხელ აცნობს მიღებულ გადაწყვეტილებებს, აზუსტებს საორგანიზაციო საკითხებს და ა.შ.

კლასის საბჭოს სხდომის შეჯამება:

კლასის დამრიგებელი, მოსწავლეებთან ერთად, აჯამებს კლასის საბჭოს სხდომას და აფასებს თუ როგორ გაართვეს მათ თავი ამოცანას (მაგალითად, სხდომის თავმჯდომარემ, ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელმა მოსწავლემ და ა.შ.). ამასთან, კლასის დამრიგებელი აფასებს, კვლავ სჭირდებათ თუ არა მოსწავლეებს დახმარება, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარეობის მიმართულებით, ან სხდომის წარმართვის მიმართულებით ან, სჭირდებათ თუ არა მათ დამატებითი რჩევები.

მონაწილეობა

მეთოდები - შეგროვება, დახარისხება, პრიორიტეტების იდენტიფიცირება, კენჭისყრა, კონსენსუსის ძიება

შეგროვება და დახარისხება

დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლებელია გაიჟღეროს მრავალმა განსხვავებულმა მოსაზრებამ, წინადადებამ თუ იდეამ. თავმჯდომარის ვალდებულებას წარმოადგენს ამ საკითხების დამუშავება და დახარისხება. ამის გაკეთება შესაძლებელია სხდომის მიმდინარეობის პარალელურად, მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების დაფაზე ჩამოწერით. ჯგუფებში მუშაობის პროცესში, მოსწავლეები დიდი ფორმატის ფურცელზე ჩამოწერენ საკუთარ მოსაზრებებს და შემდეგ წარადგენენ ამ მოსაზრებებს კლასის წინაშე. მას შემდეგ რაც გამოთქმული და განხილული იქნება ყველა მოსაზრება, საჭიროა მათი დახარისხება საერთო მახასიათებლების მიხედვით და ამგვარად დახარისხებული მოსაზრებათა ჯგუფების ერთმანეთისგან კარგად გამიჯვნა.

კენჭისყრა და პრიორიტეტების განსაზღვრა

დემოკრატიული გზით გადაწყვეტილების მიღების ფართოდ გავრცელებულ პროცედურას წარმოადგენს კენჭისყრა, რა დროსაც შედეგს უმრავლესობის არჩევანი განაპირობებს. მაჟორიტარული პრინციპით კენჭისყრის სხვადასხვა პროცედურა არსებობს.

ჩვენთვის ყველაზე ნაცნობ პროცედურას წარმოადგეს ხელის აწევით წარმოებული კენჭისყრა, ან ჩამოწერილი ჩამონათვალიდან შერჩეული ელემენტის შემოხაზვა. ჩვენ გთავაზობთ შემდეგ პროცედურას: მას შემდეგ, რაც შეგროვდება და დახარისხდება მონაწილეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შემოთავაზებები და იდეები, კენჭისყრის მონაწილეებს ურიგდებათ წრის ფორმის ფერადი სტიკერები, თითო მონაწილეს - რამდენიმე სტიკერი, რის შემდეგაც მონაწილეები თავიანთ სტიკერებს აკრავენ ფურცელზე მოცემულ ჩამოანთვალში მათ მიერ არჩეულ წინადადებასთან. მათ თავიანთი ყველა სტიკერი შეუძლიათ მხოლოდ ერთ წინადადებასთან დააკრან ან რამდენიმეზე გადაანაწილონ. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ ასევე შეგიძლიათ დააწესოთ ერთგვარი ლიმიტი, მაგალითად ერთ წინადადებაზე ერთი პირის მიერ დაკრული სტიკერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3-ს. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კენჭისყრის მონაწილეებს შესაძლებელია ერთმანეთზე ჰქონდეთ გავლენა, მაგალითად დაელოდონ რა არჩევანს გააკეთებს სხვა, რომ მისი მაგალითით იხელმძღვანელონ, მაგალითად, როდესაც კენჭისყრა ხელის აწევით მიმდინარეობს, ან როდესაც მოსწავლეები სტიკერებს ყველას დასანახად აკრავენ მათ მიერ არჩეულ წინადადებაზე. ამგვარი პრაქტიკის თავიდან ასარიდებლად, მონაწილეებს შეიძლება სთხოვოთ, მაგალითად, დახუჭონ თვალები და ისე აიწიონ ხელი, ან მონაწილეებს დაურიგოთ კენჭები და სთხოვოთ ეს კენჭები მოათავსონ იმ ყუთში, რომელიც მათი არჩეული წინადადების გვერდზეა მოთავსებული. ეს უკანასკნელი ვარიანტი საუკეთესოდ მუშაობს დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან, რომლებსაც ურჩევნიათ დაელოდონ რას გააკეთებს სხვა და შემდეგ მიბაძონ მათ, ვიდრე თავად გადაწყვიტონ რა გააკეთონ.

კონსენსუსის მიღწევა

უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ყოველთვის ვიღებთ გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს. როდესაც კენჭისყრის საშუალებით ვიღებთ გადაწყვეტილებას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოტენციურმა დამარცხებულებმაც აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაში. აქედან გამომდინარე, უნდა ვეცადოთ, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, რომ მიღებულ გადაწყვეტილებაში მათი ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული, მაგალითად, კომპრომისის საშუალებით. მსგავსი კონსესუსის მიღწევის ერთ გზას წარმოადგენს მონაწილეებისთვის ოთხი ალტერნატიული ვარიანტიდან არჩევანის გაკეთების შეთავაზება. დადასტურებულია, რომ სკოლის მოსწავლეებში ეს მეთოდი უფრო ეფექტურად მუშაობს, როდესაც ალტერნატიულ ვარიანტები, სიმბოლურად, ოთახის ოთხ კუთხეზეა გადანაწილებული (შეგიძლიათ ოთახის კუთხეებთან გააკრათ მცირე მოცულობის აბრები, შესაბამისი წარწერებით) და მონაწილეები იკავებენ ადგილს იმ კუთხესთან, რომელიც მათ მიერ არჩეულ ვარიანტს შეესაბამება.

არჩევანი:

1. სრულებით ვეთანხმები

2. არ ვარ სრულებით დარწმუნებული, თუმცა აქტიურად მივიღებ მონაწილეობას მის განხორციელებაში.

3. არ ვეთანხმები იმ ფორმას, რომლითაც იგი არის ჩამოყალიბებული. რაღაც არის შესაცვლელი (მაგალითად ვერბალური ფორმულირება).

4. სრულებით არ ვეთანხმები (ვეტო)

თუ რომელიმე მონაწილე არჩევანს გააკეთებს ვარიანტზე 3, ჯგუფმა უნდა შეიტანოს ცვლილება ჩამოყალიბებულ ვერსიაში. თუ რომელიმე მონაწილე არჩევანს გააკეთებს ვარიანტზე 4, ეს ნიშნავს, რომ შემოთავაზება ჩავარდა. ამ პროცედურის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ვერავინ შეძლებს გადაწყვეტილების მიღებიდან თავის შეკავებას, და არც ერთი მონაწილის მოსაზრება არ რჩება ყურადღების მიღმა. ყველა მონაწილე გამოთქვამს საკუთარ აზრს და ღიად იკავებს პოზიციას. როდესაც აღნიშნულ მეთოდს უმცროსკლასელ მოსწავლეებთან იყენებთ, დასაწყისში, შესთავაზეთ მათ მხოლოდ ორი არჩევანი „ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“ (ვეტო). იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ ერთი მონაწილე არ ეთანხმება შემოთავაზებას, მოსწავლეებმა საკითხის მოგვარების სხვა გზა უნდა ეძიონ.

მონაწილეობა

მეთოდები - კონფლიქტების მოგვარება, მსოფლიო კაფე, სათათბირო ფორუმი

კონფლიქტის მოგვარება:

პირებსა ან ადამიანების ჯგუფებს შორის კონფლიქტის მოგვარება სისტემატურად უნდა ხდებოდეს. კონფლიქტების მოგვარება სწავლის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს, დემოკრატიული მოქალაქეობის კონტექსტში, რადგან მოსწავლეები სწავლობენ იმას, რომ კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს და მისი გადაჭრა შესაძლებელია ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

კონფლიქტის მოგვარების სტანდარტული პროცედურა (რომელიც ხშირად გამოიყენება მოსწავლეებთან) შემდეგნაირად გამოიყურება:

1. მთლიანი ჯგუფი, თავდაპირველად, მოიპოვებს კონფლიქტში მონაწილე დაპირისპირებული მხარეების თანხმობას იმაზე, რომ ისინი კონფლიქტის მოგვარებას შეეცდებიან.
2. კონფლიქტში მონაწილე ყველა პირი აღწერს მოცემულ კონფლიქტს.
3. წარმოებს კონფლიქტის ანალიზი და ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება და განმარტება
4. ჯგუფი ცდილობს განსხვავებული პოზიციები გაითავისოს და გამოიჩინოს თანაგრძნობა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის მიმართ.
5. ჯგუფი ეძებს გამოსავალს (მაგალითად, აგროვებს იდეებსა და მოსაზრებებს გონებრივი იერიშის მეთოდით).
6. კონფლიქტში მონაწილე პირები განიხილავენ მათთვის შეთავაზებულ კონფლიქტის მოგვარების ვარიანტებს (რამდენად ეფექტურია, რამდენად რეალურია) და ირჩევენ რამდენიმე ვარიანტს.
7. კონფლიქტში მონაწილე პირები ერთმანეთში თანხმდებიან.
8. კონფლიქტში მონაწილე პირები (კონფლიქტის მოგვარებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრებთან ერთად) გეგმავენ თუ როგორ უნდა მოხდეს მათ შორი შეთანხმებული გამოსავლის პრაქტიკულად განხორციელება (ვინ, რა, როდის, როგორ)

მსოფლიო კაფე:

მსოფლიო კაფე წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გულისხმობს დიალოგს მრავალრიცხოვანი ჯგუფის მონაწილეობით და იგი შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული მეთოდი წარმატებით გამოიყენება, როდესაც წარმოებს რთული პრობლემის გადაჭრა ან რთულ კითხვაზეა პასუხი გასაცემი და როდესაც პროცესში ბევრი ადამიანი მონაწილეობს. იგი ემყარება კოლექტიური ინტელექტის გამოყენებას და იძლევა სხვადასხვა მოსაზრებების, იდეების ან გადაწყვეტილებების გენერირების საშუალებას. აღნიშნული მეთოდის დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: (www.theworldcafe.com) .

სათათბირო ფორუმი:

მოცემული მეთოდი წარმატებულად გამოიყენება მოსწავლეებთან მუშაობისას, თუმცა შესაძლებელია მისი გამოყენება უფროსი ასაკის პირებთანაც. იგი იძლევა საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას და, თათბირის შემდეგ, დამოკიდებულებების პოტენციური ცვლილების შესაძლებლობას. პირველ ეტაპზე, წარმოებს მოკლე კითხვარის დარიგება მონაწილეებისათვის, რომელიც, როგორც წესი შეიცავს დახურულ კითხვებს. კითხვარის შევსებით, მონაწილეები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას განსახილველი საკითხის მიმართ, მაგალითად, როგორიცაა ლტოლვილების ინტერგრაცია. მეორე ეტაპზე, მონაწილეები ეცნობიან სრულყოფილ ინფორმაციას მოცემული საკითხის შესახებ. მესამე ეტაპზე წარმოებს საკითხის განხილვა, ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობით, რომლის დროსაც, სკოლის საზოგადოებიდან შესაძლებელია მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სპეციალისტები და ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც მონაწილეებს აცნობენ საკუთარ არგუმენტებსა და დამოკიდებულებებს. მეოთხე ეტაპზე წარმოებს მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილება, რომლებიც ადგენენ კითხვებს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი პოლიტიკოსებისათვის. მეხუთე ეტაპზე იმართება რიგით მეორე საერთო შეხვედრა, რომლის დროსაც პოლიტიკოსებს ეძლევათ გარკვეული დრო იმისათვის, რომ პასუხები გასცენ მათთვის დასმულ კითხვებს. ბოლო ეტაპზე, ყველა მონაწილე ავსებს იმავე კითხვარს, რომლებიც მათ ამ პროექტის დასაწყისში შეავსეს. კითხვარები ანონიმურად ივსება, თუმცა ისინი კოდირებულია. ამგვარად თვალსაჩინოა, თუ რა ცვლილებები განიცადა ადამიანების დამოკიდებულებებმა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ შეძლებთ ყველა ეტაპის ორგანიზებას, მაგალითად სპეციალისტებისა ან პოლიტიკოსების მოწვევას, თქვენ შეგიძლიათ გამოტოვოთ ეს ეტაპი ან ცვლილება შეიტანოთ მასში, მაგალითად ჩაანაცვლოთ სპეციალისტები მონაწილეებით. ამ მიზნით შერჩეულ მონაწილეებს დეტალური ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ განსახილველი საკითხის შესახებ, ან მათ უნდა აირჩიონ ამ საკითხის მიმართ არსებული ერთი რომელიმე პოზიცია და ისაუბრონ საკითხზე ამ პოზიციიდან გამომდინარე.

წყარო : www.theworldcafe.com

მონაწილეობა

მეთოდები - საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საშუალებით წარმოებული კვლევა, უკუკავშირი, შეფასება

გსურთ მიიღოთ უკუკავშირი კონკრეტულ საკითხზე, ან შეფასება აწარმოოთ? გსურთ შეიტყოთ სხვების მოსაზრებები რაიმე თემასთან დაკავშირებით ან უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღოთ ადამიანებისგან? გსურთ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა პრიორიტეტების განსაზღვრაში?

ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ შეადგინოთ კითხვარი და მისი საშუალებით აწარმოოთ გამოკითხვა. გაფრთხილდით, რომ ყურადღების მიღმა არ დაგრჩეთ ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც ამგვარი გამოკითხვით ცდილობთ. ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ უამრავი რჩევა იმასთან დაკავშირებით თუ რა შეკითხვები უნდა შეიტანოთ კითხვარში, რომლის მიზანიც არის უკუკავშირის მიღება, შეფასება, მოსაზრებების შეგროვება და ა.შ. ინტერნეტშივე შეგიძლიათ იხილოთ კითხვარებისა და მათში მოცემული შეკითხვების ნიმუშებიც. ამისათვის საჭიროა ეწვიოთ ეროვნული განათლების ოფიციალურ ვებ-გვერდს, მასწავლებელთა ვებ-გვერდებს და ა.შ. ასევე, შეგიძლიათ თავადაც შეთხზათ შეკითხვები. ზოგადად, კითხვარების შევსებას ადამიანები უფრო მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან, თუ მათ შედგენაში მათი წარმომადგენელი მონაწილეობს.

კითხვარში შეგიძლიათ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები გამოიყენოთ, მაგალითად:

1. ღია შეკითხვები: რომლებსაც ადამიანები საკუთარი სიტყვებით პასუხობენ; ან

2. დახურული შეკითხვები: რომელთა შემთხვევაშიც, ადამიანებმა არჩევანი უნდა გააკეთონ იმ პასუხებიდან, რომელიც შეკითხვის შემდეგ არის მოცემული.

შეეცადეთ კითხვარი იყოს რაც შეიძლება მცირე მოცულობის (მაქსიმუმ 4 გვერდი) და შეკითხვები იყოს შინაარსობლივად სწორად დაჯგუფებული. წინასწარ განსაზღვრეთ რა მიზნით იქნება გამოყენებული ამგვარი გამოკითხვის შედეგები.

ონ-ლაინ გამოკითხვა შედეგების ყველაზე ეფექტურად ანალიზის საშუალებას გაძლევთ. თქვენ შედეგებს ავტომატურად და დაუყოვნებლივ იღებთ, მას შემდეგ რაც რესპონდენტები კითხვარის შევსებას დაასრულებენ. „Google form“-ი (google drive) გთავაზობთ უფასო ონ-ლაინ ინსტრუმენტს, რომელიც ამ ამოცანის შესრულებაში დაგეხმარებათ (www.drive.google.com). იმისათვის რომ ისარგებლოთ ამ ინსტრუმენტით, უნდა გახსნათ ანგარიში „google“-ზე, რომელიც ასევე უფასოდ არის შესაძლებელი, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მსგავსი ანგარიში ჯერ არ გაქვთ (https://accounts.google.com). იმისათვის რომ ისარგებლოთ ამ ინსტრუმენტით, უნდა გახსნათ ანგარიში „google“-ზე, რომელიც ასევე უფასოდ არის შესაძლებელი, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მსგავსი ანგარიში ჯერ არ გაქვთ (https://accounts.google.com). ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ ვიდეო ინსტრუქციები (მაგალითად, „youtube“-ზე, სახელწოდებით: „google forms survey“), რომლის საშუალებითაც თქვენ მიიღებთ საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ ისარგებლოთ ამ ინსტრუმენტით. გაეცანით ამ ინსტრუქციებს და სცადეთ ისარგებლოთ მისით.

ქვევით გაწვდით ზოგად ინფორმაციას „google forms“ის შესახებ, რომელმაც შეიძლება დაგაინტერესოთ:

Παρακάτω είναι μερικές βασικές πληροφορίες σχετικά με τις φόρμες google που μπορεί να σας ενδιαφέρουν:

- თქვენ შეგიძლიათ აიჩიოთ როგორ გირჩევნიათ კვლევაში პოტენციური მონაწილეების მოწვევა: :
  ა) მათთვის ელფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინებით: თუ
  ბ) ბმულის კოპირებითა და მონაწილეებისათვის დარიგებით ან მათთვის გაგზავნით.
- ანონიმურობა დაცულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მონაწილეები შევლენ „google“-ის საკუთარ ანგარიშზე. გამოკითხვის ორგანიზატორისთვის დაფარულია იმ პირის ვინაობა, რომელიც კითხვარს ავსებს.
- თქვენ ღილაკზე თითის ერთი დაჭერით შეგიძლიათ აწარმოოთ მონაცემთა ანალიზი და ამობეჭდოთ შედეგები (მათ შორის გრაფიკული გამოსახულებების ფორმით).
- კითხვარში შესატანი შეკითხვების დიდი არჩევანი გაქვთ (არჩევით პასუხიანი შეკითხვები, შეკითხვები, რომლებიც გულისხმობს შეფასებას, ღია შეკითხვები და ა.შ.).
- დასამუშავებლად მონაცემთა გადატანა შეგიძლიათ „excel“-ში.

მონაწილეობის ოთხი ძირითადი საფეხური

LIVING DEMOCRACY

LIVING DEMOCRACY

მონაწილეობის პრიორიტეტები

კარგად ყოფნა

შეფასება, შედეგი, მონიტორინგი, საჩივრები, პროცედურა

საქმის სწორად გაკეთება

პერსონალის ტრენინგი, ზედამხედველობა და შეფასება, რეკრუტირება

მომსახურების კარგად გაწევა

უფლებამოსილება, ზეგავლენა, უფროსი მენეჯერები, მისია, ანგარიში



LIVING DEMOCRACY